საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზემო ოქროყანა

ზემო ოქროყანა, სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კობის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), თრუსოს ხეობაში, მდ. თერგის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 2080 მ, სტეფანწმინდიდან 24 კმ. 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის. სოფელში დგას 4 კოშკი. ერთი მათგანი, რ-იც უშუალოდ თერგის ვიწროების საგუშაგოს წარმოადგენდა, ზომიერი პროპორციების მაღალი პირამიდისებრი ნაგებობაა და დანარჩენი კოშკებისაგან გამოირჩევა თავისი აგებულებით. ქვის წყობით გამაგრებულ ხელოვნურ ბაქანზე დგას ეკლესია, რ-იც აგებულია XIX ს. დასასრულს. ეკლესია გეგმით სწორკუთხაა.

ლიტ.: ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., არაგვისა და თერგის ხეობა, თბ., 1972.